



1072 Profesyonel Premium

**აღწერა**

წებო კერამიკისთვის ცემენტის ფუძეზე, შემცირებული წანაცვლებით და ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით.

**გამოყენების სფერო**

- იძლევა შესანიშნავ შედეგს ისეთი მასალების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამოყენებისას, როგორცაა კერამიკა, მოზაიკა, დეკორატიული აგური, ბუნებრივი ქვა, ტრავერტინი, გამოყენება ტენიან ოთახებში, როგორცაა აბაჯანა და სამზარეულო, ისეთ ზედაპირებზე, როგორცაა ბეტონი, ბათქაში, მოსაჭიმი.
- არსებულ კერამიკაზე ახალი ფილების დაწებებამდე, საჭიროა მისი დაგრუნტვა Kalekim Dolgulu Astar-ით.

**თავისებურებები**

- გააჩნია მაღალი ადჰეზია.
- გამოდგება კერამიკული იატაკის დასაფარად ზემოდან ქვემოთ. არ სრიალებს.
- ზოგავს დროსა და შრომას ხსნარის მაღალი სიცოცხლისუნარიანობის გამო.
- ადვილად მუშავდება კბილა შპატელით.

**ზედაპირის მომზადება**

- დარწმუნდით, რომ ზედაპირი მშრალი, სუფთა და მყარია.
- დასამუშავებელი ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ნარჩენებისგან, როგორცაა მტვერი, ქუჩყი, ზეთი, წიდა, საღებავი, რაც ხელს უშლის ადჰეზიას.
- გადაფხიკეთ დაზარალებული ბათქაში, არამდგრადი ზედაპირები, დუღაბისა და ცემენტის ნარჩენები.
- ზედაპირზე არსებული დეფექტები და ბზარები გაასწორეთ Tamirart ან Mastar 10 სერიის პროდუქტებით.
- გამოყენებამდე ზედაპირი დაგრუნტეთ Kalekim Astar-ით, ზედაპირის აბსორბციული თვისებების შესაბამისად.
- წებოს ადჰეზიური სიმტკიცის გასაზრდელად, ბეტონის ღია ზედაპირები დაგრუნტეთ Kalekim B-tone საგრუნტავით.
- ფილების უკანა მხარეს არსებული მტვერი დაასველეთ და გაწმინდეთ.

**გამოყენების ინსტრუქცია**

- ნელი მორევით ჩაყარეთ Profesyonel Premium 1072 თბილ სუფთა წყალში, ტექნიკურ ცხრილში მითითებული პროპორციით, აურიეთ ერთგვაროვან კონსისტენციამდე (კოლტების გარეშე). შერევისთვის რეკომენდებულია დაბალი სიჩქარის მიქსერის გამოყენება. არ დაამატოთ დანამატები, რომლებიც არ არის მითითებული გამოყენების ინსტრუქციებში.
- გააჩერეთ 5-10 წუთი ხსნარის მომწიფებამდე და განმეორებით აურიეთ 1-2 წუთის განმავლობაში.
- ხარჯი შეადგენს 3-5 კგ/მ².
- მომზადებული ხსნარი გამოიყენეთ 6 საათის განმავლობაში.
- უკეთესი ადჰეზიისთვის ჯერ დაატანეთ წებოს თხელი ფენა შპატელის ბრტყელი მხარით, შემდეგ დაამუშავეთ ზედაპირი ფილის ზომის შესაბამისი შპატელის კბილა მხარით.
- დაწებეთ ფილა ძლიერი დაწოლით წებოს კბილა შპატელით დატანიდან 30 წუთის განმავლობაში. დარწმუნდით, რომ ის მჭიდროდ ედება წებოს ფენას. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში (მაღალი ტემპერატურა, დაბალი ტენიანობა, ქარი და ა.შ.) ეს დრო შეიძლება შეამციროს. ამ დროის გადაჭარბების შემთხვევაში გადაფხიკეთ ხსნარი ზედაპირიდან.
- შეხებით მუდმივად შეამოწმეთ წებოს ვარგისიანობა, მის ზედაპირზე არ უნდა წარმოიქმნას ქერქი.

**მოვლა და გამოყენების შემდგომი რეკომენდაციები**

- გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და გარეცხეთ ინსტრუმენტები წყლის დიდი რაოდენობით. ზედაპირები უნდა გაიწმინდოს ნესტიანი ქსოვილით.
- გამოყენებისას და მის შემდეგ დაიცავით ზედაპირი ჰაერის ნაკადებისგან.
- ცხელ ამინდში დაიცავით ხსნარი მზის პირდაპირი სხივებისგან. ხსნარი თბილი წყლით უნდა განზავდეს.
- Kalekim-ის გამოყენებით დაგებული ფილები მთლიანად წყალთან პირდაპირ კონტაქტს მინიმუმ 24 საათის განმავლობაში. დაიცავით გაყინვისა და მზის ძლიერი სხივებისგან მინიმუმ 5-7 დღის განმავლობაში.
- პროდუქტი უნდა იქნას გამოყენებული ვარგისიანობის ვადის განმავლობაში. არ გამოიყენოთ ვადაგასული ან ქერქიანი ხსნარი.
- არ დაატანოთ ზედაპირებზე, რომლებიც შეიძლება გაიყინოს 24 საათის განმავლობაში. არ გამოიყენოთ გაყინულ ან მდნარ ზედაპირებზე.
- არ გამოიყენოთ ძლიერი ქარის დროს ან ცხელ ზედაპირზე მზის პირდაპირი სხივების ქვეშ. თუ არსებობს ამ გარემოში გამოყენების საჭიროება, სამუშაოს დაწყებამდე გარემო და ზედაპირი უნდა შესაბამისად მომზადდეს.
- არ გამოიყენოთ წვიმიან ამინდში, დასამუშავებელი ზედაპირი დაცული უნდა იყოს წვიმისგან 24 საათის განმავლობაში.
- ქვეითი მოძრაობისთვის იატაკის გახსნა შესაძლებელია დაახლოებით 24 საათის შემდეგ.
- გამოყენებისას ზედაპირისა და გარემოს ტემპერატურა უნდა იყოს (+5°C) -(+35°C).

**გაფრთხილებები**

- ვინაიდან წებო ცემენტის ფუძეზეა, არ შეისუნთქოთ მტვერი, მთლიანად კანთან და თვალებთან კონტაქტს. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ უსაფრთხოების პასპორტი.
- მითითებული ხარჯი მოცემულია ზოგადი ინფორმაციისთვის.
- ხარჯი შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენების პირობებისა და ზედაპირის თვისებების მიხედვით.

**შენახვა**

- შეინახეთ პროდუქტის შეფუთვა გრილ, მშრალ, ტენიანობისგან დაცულ ადგილას +5°C-დან +35°C-მდე ტემპერატურაზე, მთლიანად მზის პირდაპირ სხივებს.
- დაიცავით წყლის, ყინვისა და არასასურველი ამინდის პირობებისგან.
- არ დააწყით 10-ზე მეტი შეფუთვა ერთმანეთზე.
- ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ვარგისიანობის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

**შეფუთვა**

- 5 კგ პოლიეთილენის პაკეტი
- 20 და 25 კგ კრაფტ-ტომარა



**ხარისხის სერტიფიკატები**

სერტიფიკატი TS EN 12004-1/ კლასი

C1TE C: ცემენტის ფუძეზე

I: ნორმალური გამკვრივება (სტანდარტული შესრულება)

T: შემცირებული წანაცვლება

E: გაზრდილი სამუშაო დრო



1072 Profesyonel Premium

### ტექნიკური მახასიათებლები

(23°C და 50% ფარდ. ტენიანობის პირობებში)

### ზოგადი მონაცემები

იერსახე	ნაცრისფერი ფხვნილი
ვარგისიანობის ვადა	გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას 12 თვე

### ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) - (+35°C)
ნარევის პროპორციები	7-7.5 ლ წყალი / 25 კგ ფხვნილი 1.4-1.5 ლ წყალი / 5 კგ ფხვნილი
სიცოცხლისუნარიანობის დრო	6 საათი
ექსპლუატაციაში შეყვანის დრო	კედლისთვის 8 საათი, იატაკისთვის 1 დღე
ხარჯი	საშუალოდ 3 - 5 კგ/მ <sup>2</sup>

### ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლების შესახებ

წანაცვლება (EN 12004-2)	≤ 0.5 მმ
ღია დაყოვნების დრო (EN 12004-2)	მინიმუმ 30 წუთის შემდეგ ≥ 0.5 (მპა)ნ/მმ <sup>2</sup>
შეჭიდულობა (EN 12004-2)	
-საწყისი	≥ 0.5 (მპა)ნ/მმ <sup>2</sup>
-წყალში დაშვების შემდეგ	≥ 0.5 (მპა)ნ/მმ <sup>2</sup>
-სითბური დაძველების შემდეგ	≥ 0.5 (მპა)ნ/მმ <sup>2</sup>
-გაყინვა-გაღობის ციკლის შემდეგ	≥ 0.5 (მპა)ნ/მმ <sup>2</sup>
თბომდეგობა	(-40°C) - (+80°C)
საშიში ნივთიერებები (EN 12004-1)	იხილეთ უსაფრთხოების პასპორტი
ცეცხლგამძლეობა (EN 13501-1)	A1

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.